# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 399

„20" დეკემბერი 2019 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან ერეკლე კუხიანიძის გადაყენების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 37–ე მუხლის მე–3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 21–ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის საკრებულომ დაადგინა:

1. გადაყენებულ იქნას ერეკლე კუხიანიძე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე